საორიენტაციო სასწავლო პროგრამა საარჩევნო ადმინისტრაციის თანამშრომლებისთვის

საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის 2020-2023 წლების სტრატეგიული გეგმის შესაბამისად საარჩევნო ადმინისტრაციის თანამშრომელთა უწყვეტი პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიზნით, სწავლების ცენტრმა, ცესკოს ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტთან თანამშრომლობით, განახორციელა საორიენტაციო სასწავლო პროგრამა „არჩევნების მიმოხილვა - ზოგადი სასწავლო კურსი“ საარჩევნო ადმინისტრაციის ახალი თანამშრომლებისთვის. 22 თებერვალს გაიმართა ტრენინგი ონლაინ ფორმატში, ტრენინგში მონაწილეობა მიიღო 21 საოლქო საარჩევნო კომისიის 24-მა ახალარჩეულმა წევრმა (15 ქალი, 9 კაცი). სასწავლო კურსის ფარგლებში მონაწილეები გაეცნენ შემდეგ ძირითად საკითხებს: არჩევნების ისტორიული ექსკურსი და არჩევითი სახელმწიფო ორგანოები საქართველოში; დემოკრატიული არჩევნების სახელმძღვანელო პრინციპები და საკანონმდებლო ჩარჩო; საარჩევნო ადმინისტრაციის სტრუქტურა, საოლქო საარჩევნო კომისიის კომპეტენცია და რეგლამენტით განსაზღვრული მუშაობის წესი (ზოგადი მიმოხილვა); შრომით ურთიერთობასთან დაკავშირებული სამართლებრივი საკითხები.

დამატებითი ინფორმაცია იხ. : http://electionreforms.ge/geo/list/show/3072-saorientatsio-sastsavlo-programa-saarchevno-administratsiis-tanamshromlebistvis-

http://electionreforms.ge/geo/list/show/3073--saarchevno-administratsiis-tanamshromlebistvis-saorientatsio-sastsavlo-programis-farglebshi-dastsrebis-statistika-2021ts